

ვახტანგ ბერიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის
ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ხელოვნებისა და კულტურის მენეჯერი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინი სანადირაძე

რეზიუმე

სტატია მიმოიხილავს საქართველოს კულტურის ინსტიტუციურ განვითარებას 1918-2024 წლებში და აჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდა კულტურის პოლიტიკა და ინსტიტუციური არქიტექტურა სამი განსხვავებული სახელმწიფოებრივი რეჟიმის პირობებში: პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921), საბჭოთა სისტემისა (1921-1991) და დამოუკიდებელი საქართველოს (1991-2024) პერიოდებში. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს Pierre Bourdieu-ს „სიმბოლური ძალაუფლების“ კონცეფცია წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც კულტურა არის ის ველი, სადაც სახელმწიფო და სხვადასხვა აქტორი უწყვეტ ბრძოლაში არიან კულტურული კაპიტალის განსაზღვრისა და განაწილების უფლებისთვის. სწორედ ამ ჭრილში განიხილება კულტურის პოლიტიკა არა როგორც მხოლოდ ადმინისტრაციული ან ფინანსური საკითხი, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი განვითარების ღრმა იდეოლოგიურ-ფილოსო-

ფიური განზომილება.

პირველი რესპუბლიკის ეპოქა წარმოჩენილია როგორც კულტურული ავტონომიისა და ევროპული ორიენტაციის პროექტი, რომელშიც განათლება, მეცნიერება და ხელოვნება პოლიტიკური დამოუკიდებლობის ძირითადი საყრდენი იყო. ანალიზდება პროგრესული საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ეროვნული მუზეუმის სისტემის შექმნა, კონსტიტუციის 32-ე მუხლი და ის, თუ როგორ ჩამოყალიბდა კულტურა როგორც ეროვნული იდენტობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ბირთვი.

საბჭოთა პერიოდი ნაჩვენებია როგორც კონტროლისა და ინფრასტრუქტურული განვითარების პარადოქსული ერთიანობა: ერთი მხრივ - ცენზურა, რეპრესიები, „საბჭოთა ადამიანის“ კონსტრუირება და ინტელექტუალური ელიტის განადგურება; მეორე მხრივ - თეატრების, მუზეუმების, ბიბ-

ლიოთეკებისა და ანსამბლების მასშტაბური ზრდა. ამავე დროს, სტატია ყურადღებას ამახვილებს ფარულ წინააღმდეგობაზე, არაოფიციალურ არხებზე და მესხიერების შენარჩუნების იმ პრაქტიკებზე, რომლებმაც ქართული კულტურის ძირითადი ღირებულებები შეინარჩუნა.

დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქა წარმოდგენილია ეტაპებად: 1990-იანების კოლაფსი და სტრუქტურული დაშლა; 2004-2012 წლების სწრაფი, მაგრამ ფრაგმენტული ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია; 2012-2020 წლებში - სტრატეგიული დოკუმენტების (კონცეფცია, სტრატეგია 2025) შექ-

მნა, რომელთა განხორციელებაც ინსტიტუციურ არასტაბილურობასა და პრიორიტეტების ცვალებადობას შეეწირა; 2020-2024-ში კი - სტაბილურობის ილუზია, როცა გაგრძელებულ ინფრასტრუქტურულ პროცესებს პარალელურად თან სდევდა საერთაშორისო თანამშრომლობების შესუსტება. სტატია აერთიანებს საკანონმდებლო ანალიზს, ინსტიტუციური რეფორმების, საერთაშორისო დონორული პროგრამებისა და მუნიციპალური პრაქტიკის განხილვას და აჩვენებს, რომ ცოდნა, ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა ხშირად ერთმანეთისგან განცალკევებულად ვითარდებოდა.

საქართველოს კულტურის ინსტიტუციური განვითარება სამი სახელმწიფოებრივი ეპოქის განმავლობაში

*საკვანძო სიტყვები: კულტურის პოლიტიკა, საბჭოთა რეპრესიები,
სისტემური ცვლილებები.*

კულტურა ეროვნული თვითმყოფადობის, საზოგადოებრივი განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფაქტორია. იგი ქმნის იმ ფასეულობათა ერთობას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების სიმტკიცეს, შემოქმედებით პოტენციალსა და მომავალ თაობათა იდენტობას. Pierre Bourdieu-ს თეორიული ჩარჩოს მიხედვით, კულტურა წარმოადგენს „სიმბოლური ძალაუფლების“ (symbolic power) განხორციელების ველს, სადაც სახელმწიფო და სხვადასხვა აქტორი ებრძვიან კულტურული კაპიტალის განსაზღვრისა და განაწილების უფლებას (Bourdieu, 1984). შესაბამისად, კულტურის სფეროსადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება არ არის მხოლოდ ადმინისტრა-

ციული ან ეკონომიკური საკითხი, იგი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი განვითარების ღრმა იდეოლოგიურ და ფილოსოფიურ განზომილებას.

საქართველოს უახლესი ისტორიის 107 წლიან მონაკვეთში (1918–2024) კულტურის პოლიტიკა და ინსტიტუციური სისტემა არაერთხელ გარდაიქმნა. ამ ცვლილებებს განსაზღვრავდა სამი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სახელმწიფოებრივი ეპოქა:

1. **პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921)** – ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობისა და კულტურული ავტონომიის პერიოდი;
2. **საბჭოთა ეპოქა (1921–1991)** – ტოტალიტარული იდეოლოგიით მართული, მაგრამ ინსტიტუციურად განვითარებული სისტემა;
3. **დამოუკიდებელი საქართველო (1991–2024)** – კრიზისიდან სტაბილიზაციისკენ მიმავალი, ევროპულ ინტეგრაციაზე ორიენტირებული განვითარება.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია იმ პროცესების გააზრება, რომლებმაც ამ სამი სხვადასხვა ეპოქის განმავლობაში კულტურის ინსტიტუციური არქიტექტურა ჩამოაყალიბა: როგორ მუშაობდა სახელმწიფო კულტურის სფეროსთან, როგორ იცვლებოდა საკანონმდებლო ჩარჩოები, რა ტიპის ორგანიზაციებს ქმნიდა და ავითარებდა, და რა მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ ინსტიტუტებს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში. ნაშრომი ასევე ცდილობს უპასუხოს რამდენიმე ფუნდამენტურ კითხვას:

- როგორ აყალიბებდა სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტებს სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში?
- და რა გამოწვევებთან მიდის კულტურის სფერო თანამედროვე საქართველოში, სადაც კულტურული პოლიტიკა კვლავ ეძებს სტაბილურ და გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას?

1. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი (1918–1921):

კულტურული ავტონომიის იდეალი

1918 წელს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელ ეტაპს. მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობა მხოლოდ ორ წელსა და ცხრა თვეს მოიცავდა, სწორედ ამ პერიოდში ჩაიყარა საფუძველი კულტურულ ინსტიტუტებსა და პრინციპებს,

რომლებმაც ქართული კულტურის განვითარებაზე მე-20 საუკუნის განმავლობაში მოახდინეს გავლენა. ამ პერიოდის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველად ქართულმა სახელმწიფომ კულტურა განიხილა არა მხოლოდ როგორც განათლებისა და ხელოვნების სფერო, არამედ როგორც ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრივი მდგრადობის ინსტრუმენტი.

რუსეთის იმპერიის მრავალწლიანი ზეწოლისა და ოკუპაციის მუდმივი საფრთხის ფონზე, კულტურა იქცა ეროვნული იდენტობის დაცვის სფეროდ. რესპუბლიკის ლიდერები აცნობიერებდნენ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა კულტურული ავტონომიისა და განათლებული საზოგადოების გარეშე. ამიტომ კულტურის განვითარების სტრატეგია დაეფუძნა ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებს და დასავლური ქვეყნების მოდელებს, სადაც განათლება, მეცნიერება და ხელოვნება სახელმწიფოებრივი განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენდა.

საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური განვითარება

პირველი რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) საქართველომ შეძლო კულტურისა და განათლების სფეროში საფუძვლიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება, მიუხედავად მოკლე დროისა და ომის პირობებისა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო პროგრესული კანონები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეროვნული განათლების სისტემის შექმნას, კადრების მომზადებასა და ინტელექტუალური რესურსების გაძლიერებას: დაწესდა სტიპენდიები და პრემიები სახელმძღვანელოების ავტორებისთვის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი „100 000 მანეთის გაღებისა საუკეთესო სახელმძღვანელოთა ავტორთათვის პრემიების მისაცემად),¹ სკოლების დასაფინანსებლად გამოიყო სახელმწიფო თანხები, ხოლო საზღვარგარეთ სწავლისთვის განისაზღვრა 3 მილიონი მანეთი (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი „საზღვარგარეთ სწავლა-განათლების ან სპეციალ ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის დამატებით 3 მლნ მანეთის გადაღებისა),² უპრეცედენტო ინვესტიცია

1 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 179.

2 იქვე.

ქვეყნის მომავალი სპეციალისტების მოსამზადებლად.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა ამავე პერიოდის ძირითადი პრიორიტეტი იყო. კავკასიის იმპერიული მუზეუმის ნაცვლად, შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; სახელმწიფომ დააარსა სპეციალური ფონდები ისტორიულად მნიშვნელოვანი ნივთების შესაძენად; კანონიერი გზით განისაზღვრა კულტურული ფასეულობების დაცვა და აღრიცხვა. ეროვნულმა საბჭომ ასევე მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ენისა და განათლების მიმართულებით, სახელმწიფო ენის შესახებ კანონი, ახალი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნა, ბეჭდური ნაწარმის რეგულირება.

შედეგად, 1918-1921 წლებში შეიქმნა ის ინსტიტუციური არქიტექტურა, რომელიც აყალიბებდა კულტურის პოლიტიკის რამდენიმე ძირითად მიმართულებას: განათლებისა და კადრების განვითარება, ეროვნული მუზეუმისა და ბიბლიოთეკების სისტემა, მემკვიდრეობის დაცვა და საერთაშორისო ინტეგრაცია. მიუხედავად დროის სიმცირისა, ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში კულტურის სისტემური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კულტურული ინსტიტუტების ქსელი

ამ პოლიტიკის გამოხატულებად იქცა 1918 წლის 8 თებერვალს გახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინსტიტუცია, რომელიც აერთიანებდა ეროვნული ინტელიგენციის აღზრდის, სამეცნიერო კვლევის, ევროპულ აკადემიურ სივრცესთან ინტეგრაციისა და ქართული კულტურის კვლევის ფუნქციებს. უნივერსიტეტში შეიქმნა ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის ფაკულტეტები, რომლებიც გახდა სამეცნიერო საფუძველი ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის სისტემური შესწავლისთვის.

პარალელურად განხორციელდა თეატრალური და სამუსიკო სკოლების რეორგანიზაცია ევროპული მოდელების შესაბამისად. 1918 წელს თბილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება გადაკეთდა მუსიკალურ საზოგადოებად, რომელმაც პროვინციებში განყოფილებებისა და სკოლების გახსნა დაიწყო. ამ სტრატეგიის განხორციელების პირველ მაგალითად იქცა 1919 წლის 20 აპრილს ქუთაისში გახსნილი მუსიკალური სასწავლებელი, რაც თანამედროვე პრესის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“

მიხედვით განიხილებოდა როგორც „ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინების“ ნაწილი. 1920 წელს გაიხსნა სამხატვრო გალერეა, ხოლო მუზეუმების სისტემაში დაიწყო რეფორმები და შემუშავდა არქეოლოგიური ძეგლების დაცვის პირველი დოკუმენტები.

ევროპული ორიენტაცია და ინსტიტუციური მექანიზმები

პირველი რესპუბლიკის კულტურის პოლიტიკა აგებული იყო ევროპული მოდელების სწრაფად შესწავლისა და მათი ქართული რეალობისთვის ადაპტაციის პრინციპზე. განათლების სისტემა ეფუძნებოდა გერმანიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტების მოდელებს; სამუსიკო განათლება – ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის კონსერვატორიების სტანდარტებს; თეატრი და მსახიობთა მომზადება კი – დასავლური რეჟისურის სკოლებს. კულტურის პოლიტიკა სრულად იმართებოდა განათლების სამინისტროს მეშვეობით, რომლის სტრუქტურაში შედიოდა კონსერვატორია, სამხატვრო გალერეა და ახალშექმნილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ეროვნული ინსტიტუციები, რომლებიც პირველად გადავიდა ადგილობრივ მმართველობაში კავკასიის იმპერიული სისტემის დაშლის შემდეგ.

ინსტიტუციური არქიტექტურა ჩამოყალიბდა ეროვნულ საბჭოში შექმნილი სასკოლო და ხელოვნების კომისიის მუშაობის შედეგად. 1918-1921 წლებში დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიები (დიდი და მცირე) თანამშრომლობდნენ სამუსიკო, თეატრალურ, მხატვართა საზოგადოებებთან, მწერალთა კავშირთან და განათლების სამინისტროსთან. კომისიის სხდომებში მონაწილეობდნენ მინისტრები, ქალაქის ხელმძღვანელობა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. სწორედ ამ მექანიზმებმა განსაზღვრა რესპუბლიკის კულტურული პოლიტიკის სტრუქტურა, პროფესიული განათლების მხარდაჭერა, კულტურული პროფილის ახალი ინსტიტუციების შექმნა, უკვე არსებული სამეცნიერო და ხელოვნების საზოგადოებების ფინანსური უზრუნველყოფა და ცენტრალიზებული, მაგრამ ევროპული პრინციპებზე დაფუძნებული კულტურული მმართველობის მოდელის ჩამოყალიბება.

კონსტიტუციის შემუშავება და კულტურული უფლებების დამკვიდრება

კულტურის მიმართ ამგვარი სახელმწიფოებრივი მიდგომა აისახა ქვეყნის უზენაეს კანონში. 1918 წლის 6 ივნისს, ეროვნულ საბჭოში დამფუძნებელი კრებისთვის საკანონმდებლო ლეგიტიმაციის გადაცემამდე, შეიქმნა სახელმწიფო კომისია საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად. კომისია დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ქართველებით, რომლებსაც გააჩნდათ ცოდნა ევროპის კონსტიტუციური განვითარების სფეროში. კომისიამ ეს პროექტი 1920 წლის ნოემბერში გადასცა დამფუძნებელი კრების ანალოგიურ კომისიას შემდგომი დამუშავებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამართლებრივი და კონსტიტუციური გამოცდილება, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო იმ დროისთვის მრავალმხრივ პროგრესული კონსტიტუციის შექმნა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ შორის კულტურულ უფლებებს. კონსტიტუციონალისტების შეფასებით, იგი გამორჩეულია როგორც მის თანადროულ, ასევე თანამედროვე ევროპის კონსტიტუციებს შორისაც არაერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწინავე პოზიციის გამო და დღემდე რჩება ერთ-ერთ პროგრესულ და დემოკრატიულ კონსტიტუციად არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

კულტურის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლს: „ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“.³ ეს ჩანაწერი ორივე მიმართულებით განსაზღვრავდა კულტურის პოლიტიკას, სახელმწიფო არ ერევა შემოქმედებით პროცესში (უარყოფითი თავისუფლება), მაგრამ ასევე იღებს ვალდებულებას, აქტიურად დაუჭიროს მხარი მის განვითარებას (დადებითი ვალდებულება). იმ ფონზე, როდესაც ქართული კულტურა მანამდე იმპერიული ზეწოლის პირობებში არსებობდა, კონსტიტუციის ეს მუხლი იყო პრინციპული პოლიტიკური არჩევანი: თავისუფალი, ევროპული მოდელით ჩაფიქრებული და მხარდაჭერილი კულტურის სახელმწიფო გარანტია.

3 Shatberashvili, Cultural, 2023.

1921 წლის ოკუპაციამ შეაფერხა ევროპული, დემოკრატიული და კულტურულად ავტონომიური საქართველოს პროექტის განვითარება. თუმცა, პირველი რესპუბლიკის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, შემოქმედებითი თავისუფლება, სახელმწიფოს მხარდაჭერის ვალდებულება, ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის მიზანი და კულტურის აღქმა ეროვნული იდენტობის საყრდენად დარჩა როგორც კულტურული პოლიტიკის იდეალური მოდელი, რომლის განსახორციელებლად ბევრი მუშაობაა საჭირო.

საბჭოთა პერიოდის კულტურის პოლიტიკა (1921-1991)

1921 წლის ოკუპაციამ საქართველო ევროპული ორიენტაციის მქონე რესპუბლიკიდან გარდაქმნა ტოტალიტარული, ცენტრალიზებული და მკაცრად იდეოლოგიზებული სისტემის ნაწილად, სადაც კულტურა თავისუფალი შემოქმედების სივრცე აღარ იყო. ის იქცა პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტად, რომლის მიზანიც იყო „საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბება და ეროვნული თვითშეგნების დასუსტება. ამ მიზნისთვის შეიქმნა მრავალსაფეხურიანი ადმინისტრაციული ზედამხედველობის სისტემა: 1922 წელს დაარსებული მთავლიტი (главлит) მცირე სამსახურისგან გადაიქცა უზარმაზარ აპარატად, რომელიც 1927 წელს 86 თანამშრომლიდან 1947 წლისთვის 6453-მდე გაიზარდა. 1923 წლის რეპერტკომმა თეატრი და მუსიკა სრულ კონტროლში მოაქცია, ხოლო კინემატოგრაფია 1924 წლიდან „გოსკინოსა“ და „სახკინოს“ ჰეგემონიას დაექვემდებარა, რაც კინოს აქცევდა „სწორი ისტორიისა“ და „სწორი გმირის“ იდეოლოგიური წარმოების ინსტრუმენტად. განათლებისა და კულტურის სამინისტროები მთლიანად ემორჩილებოდნენ პარტიას; კულტურის სახლები, სკოლები, ბიბლიოთეკები და პროფესიული დაწესებულებები - ერთიან იდეოლოგიურ ქსელს.

სისტემის ყველაზე მკაცრი ბერკეტი იყო რეპრესიები. 1937-1938 წლების დიდი ტერორი საქართველოში იყო ცენტრიდან დაგეგმილი და ბერიას მიერ მართული ოპერაცია: დაახლოებით 3700 ადამიანი გაასამართლეს, 3100 დახვრიტეს. დახვრიტეს ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, ევგენი მიქელაძე; პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს; მიხეილ ჯავახიშვილი წამებით მოკლეს; სანდრო ახმეტელი განადგურდა როგორც „სოციალურად სახიფათო ელემენტი“. მიზანი იყო არა მხოლოდ ინდივიდების, არამედ ეროვნული ინტელექტუალური გარემოს გატეხვა, შიშით, კონტროლითა და თვითცენზურით. „დათბობამ“

ფორმა შეცვალა, მაგრამ არა ფუნქცია: 1956 წლის შემდეგაც იკრძალებოდა რობაქიძე, ვაჟას შემოქმედების ნაწილი, „ეროვნული ღირიკა“; 1970-იან წლებში მთავლიტში მოქმედებდა სპეციალური განყოფილება „ქართული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ“. ამავდროულად საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა მასშტაბური, თუმცა მკაცრად იდეოლოგიზებული ინფრასტრუქტურა, თეატრები, ბიბლიოთეკები, ანსამბლები; „რუსთავი“ და „ერისიონი“ თავდაპირველად სწორედ საბჭოთა კულტურის ექსპორტის ინსტრუმენტები იყვნენ. საბჭოთა პოლიტიკის მთავარი პარადოქსი იყო კონტროლისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ერთდროული თანაარსებობა. და მიუხედავად ამისა, ფარული წინააღმდეგობა, პირადი არქივები, ხალხური სიმღერები, ინტელექტუალური წრეები, ხელნაწერი ტექსტების უხმო გადარჩენა იქცა მესხიერების გადატანის არხად, ქართული კულტურის ძირითადი ღირებულებები შენარჩუნდა საბჭოთა ეპოქის ყველაზე მძიმე პირობებშიც.

1991-2004 - კოლაფსი, კულტურის სფეროს სტრუქტურული დაშლა

1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველომ პოლიტიკური ვაკუუმის პირობებში მიიღო, რომელიც საბჭოთა სისტემის დაშლამ დატოვა. სახელმწიფო, რომლის კულტურის პოლიტიკა წლების განმავლობაში მკაცრად იყო გაკონტროლებული ცენტრიდან, უცებ აღმოჩნდა სრულიად უწესრიგო, უკონტროლო და ინსტიტუციურად გაუმართავ გარემოში. პოლიტიკურ კრიზისს დაემატა ეკონომიკური კოლაფსი, სამოქალაქო ომი, ენერგეტიკული პარალიზება – ამ ვითარებაში კულტურული სფერო ერთ-ერთი პირველი გახდა, რომელმაც სახელმწიფოს ნგრევა საკუთარ სხეულზე გადაიტანა. 1990-იანი წლების რეალობა იყო კოლაფსის ისტორია. სამინისტროები პრაქტიკულად პარალიზებული იყო; სახელმწიფო ბიუჯეტი მინიმალურ საჭიროებებსაც ვერ ფარავდა; კულტურის დაფინანსება თითქმის ნულამდე შემცირდა. მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკები, არქივები და სახლები-გალერეები არსებობას არა სახელმწიფოს, არამედ თანამშრომელთა პირადი გმირობითა და პასუხისმგებლობით აგრძელებდნენ. ათბოდნენ ექსპონატებს, ხელფასის გარეშე დარაჯობდნენ შენობებს, დგამდნენ სპექტაკლებს და სხვა.

ამ წლებში კულტურული მემკვიდრეობა სრულიად დაუცველი დარჩა. მომრავლდა ქურდობა, ძვირფასი არტეფაქტების გაყიდვა, კოლექციების დაშლა, არქივების განადგურება, შემთხვევითი ხანძრები და ქურდობა, რომელთა აღრიცხვა დღემდე არ დასრულებულა. ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი გაიძარცვა; ფონდები არასაკმარისი ტენიანობის, ტემპერატურისა და ელემენტარული დაცვის პირობების გარეშე იშლებოდა; რეგიონებში კულტურის სახლები და სხვა მსგავსი დაწესებულებების უმეტესობამ დაკარგა ფუნქცია, ნაწილმა მთლიანად დაკარგა, ან სამშენებლო მასალე-ბად დაიშალა.

ამ პეროდში სახელმწიფოში არ არსებობდა კულტურის სფეროს გადარჩენის ხედვა ან სტრატეგია, ეს იყო პერიოდი, როდესაც კულტურის პოლიტიკა საერთოდ არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ პოლიტიკური გადარჩენის მცდელობა და ყოველდღიური ბრძოლა მინიმალური სტაბილურობისთვის. ფაქტობრივად, 1991-2004 წლები იყო განადგურებული კულტურული ინფრასტრუქტურის ისტორია - პერიოდი, როდესაც საქართველოს კულტურულმა სისტემამ დაკარგა ის, რაც წლების განმავლობაში იყო დაგროვილი: სტაბილური ინსტიტუციური მეხსიერება, მმართველობითი ჩარჩო, მატერიალური რესურსები და ყველაზე მთავარი, უსაფრთხო გარემო, სადაც კულტურა შეძლებდა არსებობას.

2004-2012 - რეფორმებისა და ფრაგმენტული

განვითარების პერიოდი

2004 წლის შემდეგ კულტურის სფეროში დაიწყო სწრაფი მოდერნიზაცია, რომლის მიზანი იყო ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის განმტკიცება. განახლებულმა სახელმწიფომ წამოიწყო ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული რეფორმები, მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, საგანმანათლებლო დაწესებულებების რესტავრაცია; შეიქმნა ეროვნული მუზეუმის ახალი სტრუქტურა, კინოცენტრი, მემკვიდრეობის სააგენტო. პირველად გაჩნდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვლევითი და ექსპოზიციური გარემო. თუმცა ფიზიკური განახლება წინ უსწრებდა შინაარსობრივ სისტემურ ცვლილებებს: მენეჯმენტის მოდელები, პროფესიული სტანდარტები, ადამიანური რესურსების განვითარება და კვლევითი მიმართულებები საკმარისად არ იცვლებოდა. სისტემა რჩებოდა ცენტრალიზებული, გა-

დაწყვეტილებები დაჩქარებული, ხოლო შიდა ინსტიტუციური რეფორმები, არასრულფასოვანი.

ამავე პერიოდში გაძლიერდა საერთაშორისო თანამშრომლობა, EU, UNESCO, ICOM, British Council, Goethe-Institut და სხვა ორგანიზაციები ქმნიდნენ მნიშვნელოვანი ხარისხის საგანმანათლებლო, მუზეუმურ და კულტურულ პროექტებს. თუმცა მათი მუშაობა პარალელური იყო და არა ინტეგრირებული სახელმწიფო პოლიტიკაში: strong დამოუკიდებელმა ინიციატივებმა, არტ-სივრცეებმა და თეატრალურმა ჯგუფებმა შექმნეს ინოვაციური კულტურული ველი, მაგრამ სისტემური მხარდაჭერის გარეშე. შედეგად ჩამოყალიბდა ორი პარალელური ეკოსისტემა, სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებიც, სტაბილური დაფინანსების მიუხედავად, ხშირად ინერტულად ვითარდებოდა, და დამოუკიდებელი სექტორი, რომელიც ენერგიული, მაგრამ არასტაბილური იყო. 2004-2012 წლების პერიოდი იყო ფიზიკური სივრცეების აღორძინების, თუმცა შინაარსობრივი და მმართველობითი სისტემების ფრაგმენტული განვითარების დრო: ინფრასტრუქტურა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო კულტურული პოლიტიკის საფუძველი, არასაკმარისად.

2012-2020 - სტაბილიზაცია, ინსტიტუციური ზრდა და არათანმიმდევრული განვითარება

2012 წლის შემდეგ კულტურის სფეროში ზრდამ და ინფრასტრუქტურულმა გაუმჯობესებებმა მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და მემკვიდრეობის სააგენტოს გაძლიერებამ შექმნა მნიშვნელოვანი რესურსი შინაარსობრივი განვითარებისათვის. ამავე პერიოდში დაიწყო პირველი სტრატეგიული მიდგომები: შეიქმნა „კულტურის კონცეფცია“ (2013) და ევროკავშირის მხარდაჭერით, „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელთა მიზანი იყო კულტურის ინტეგრაცია განათლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკებში. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, სტრატეგიული დოკუმენტების პრაქტიკული განხორციელება შეჩერდა ინსტიტუციური ცვლილებების, პრიორიტეტების ხშირი გადაღაგებისა და საკმარისი მექანიზმების არარსებობის გამო. ფიზიკური განახლება კვლავ უსწრებდა შინაარსობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს: მენეჯმენტის მოდელები, კვლევითი მიმართულებები და პროფესიული განვითარების სისტემები ნაკლებად იცვლებოდა, რის შედეგადაც

ახალი ინფრასტრუქტურა სრულფასოვან ინსტიტუციურ სისტემად ვერ ყალიბდებოდა.

ამავე წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი - EU, USAID, British Council, Goethe-Institut, OSF, UNDP და EUNIC ახორციელებდნენ კვლევებს, ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების პროგრამებს, რომლებიც ქმნიდა მნიშვნელოვანი ცოდნის ბაზას ქვეყნისთვის. თუმცა ამ ცოდნის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში სისტემურად ვერ მოხდა. მუნიციპალიტეტების დონეზე კულტურული დაწესებულებები ხშირად ფუნქციონირებდა შეზღუდული რესურსებით; მემკვიდრეობის დაცვაში იჩენდა თავს დაგეგმვისა და ზედამხედველობის პრობლემები; დამოუკიდებელი კულტურული ინიციატივები კი ვითარდებოდა ინოვაციურად, მაგრამ სტაბილური მხარდაჭერის გარეშე. შედეგად, 2012-2020 წლები დარჩა პერიოდად, როდესაც არსებობდა ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა, მხარდი ინფრასტრუქტურა და სტრატეგიული ხედვების საწყისი, მაგრამ ვერ კიდევ არ იყო საკმარისი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც ამ პოტენციალს გრძელვადიან, მდგრად სისტემად გარდაქმნიდა.

2020-2024 სტაბილურობის ილუზია

2020 წლის შემდეგ კულტურის სფეროში ფორმალურად გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რეაბილიტაციები და დიגיტალიზაციის პროგრამები, თუმცა ეს პროცესები მიმდინარეობდა პოლიტიკური არასტაბილურობისა და ზრდადი ადმინისტრაციული ინერციის პირობებში. შინაარსობრივი განვითარება კვლავ მოითხოვდა სტრატეგიულ ხედვას, მაგრამ პრაქტიკაში სფერო დამოკიდებული რჩებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მოკლევადიან პრიორიტეტებზე, ცვალებად გარემოზე.

კულტურის სამინისტრო კვლავ ხასიათდება სტრუქტურული და საკადრო არასტაბილურობით - ორგანიზაციული ცვლილებები, ხელმძღვანელების ხშირი ჩანაცვლება, პრიორიტეტების სწრაფი ცვლა. გრძელვადიანი პროცესები ვერ ყალიბდებოდა, დაგეგმილი ინიციატივები ხშირად დაუსრულებელი რჩებოდა. ინსტიტუციური მექანიზმების დეფიციტი გამწვავდა, პროექტები იწყებოდა ახალი ჯგუფებით, სრულდებოდა დაგროვილი გამოცდილების სისტემაში შენახვის გარეშე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გაგრძელდა 2012–2020 წლების პრობლემები: დაუმთავრებელი ინვენტარიზაცია, არასაკმარისი კვლევა, არათანმიმდევრული პრიორიტეტიზაცია. ისტორიულ სივრცეებში ინტენსიური მშენებლობა კვლავ აყენებდა კითხვებს სივრცითი დაგეგმვისა და მემკვიდრეობის დაცვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. რეგიონული ინსტიტუციები რჩებოდა მინიმალური დაფინანსებით, რაც ზღუდავდა მათ ფუნქციონირებას. რეაბილიტაციის პროცესები ხორციელდებოდა, მაგრამ პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები გაუმჭვირვალე იყო.

2020–2024 წლებში საერთაშორისო დონორები ისევ წარმოადგენდნენ კულტურის განვითარების მთავარ საყრდენს. EU, UNDP, USAID, EUNIC, Goethe-Institut, British Council განაგრძობდნენ პროფესიული განვითარების, კვლევების, დიגיტალიზაციისა და კულტურული მენეჯმენტის პროგრამებს. თუმცა 2023–2024 წლებში მიღებულმა კანონმდებლობამ და პოლიტიკური გარემოს ცვლილებებმა პირდაპირ იმოქმედა თანამშრომლობაზე: რამდენიმე საერთაშორისო სტრუქტურამ შეაჩერა ან გადააფასა პროექტები; ადგილობრივ ორგანიზაციებს გაუჭირდათ პარტნიორობების შენარჩუნება; დამოუკიდებელმა სექტორმა დაკარგა საერთაშორისო დაფინანსების არხები; გაძლიერდა გაურკვევლობა, რომელიც ბიუროკრატიულ პროცესებს აყოვნებდა. საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც წლების განმავლობაში ავსებდა სისტემურ ხარვეზებს, თავად აღმოჩნდა შეზღუდული პოლიტიკური გარემოს გამო.

არასტაბილური სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო კულტურის სფერო განსაკუთრებით დაუცველი გახდა, კულტურის ინსტიტუციების მხარდაჭერა და დაფინანსება დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე, სხვადასხვა ნიშნით დანიშნულ ხელმძღვანელობაზე.

დასკვნა

1918–2024 წლების საქართველოს კულტურის პოლიტიკა მოძრაობს თავისუფლებასა და კონტროლს შორის. პირველი რესპუბლიკა ქმნის კულტურული სახელმწიფოს საწყისებს; საბჭოთა პერიოდი აყალიბებს ძლიერ ინფრასტრუქტურას, მაგრამ ინტელექტუალურ ელიტას სისტემურად ანგრევს, 1937–1938 წლებში 3700 ადამიანი გასამართლებულთა შორის, 3100 დახვრეტილია, ხოლო

ცენზურის აპარატი ათწლეულებში ათასჯერ იზრდება. პოსტსაბჭო-თა კოლაფსმა (1991-2004) კულტურა ინსტიტუციური ჩარჩოს გარე-შე მიატოვა. 2004 წლის შემდეგ დაიწყო ფიზიკური აღდგენა, თუმცა ცვლილებები ძირითადად ინფრასტრუქტურაზე კონცენტრირდე-ბოდა; 2012-2020 წლებში შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები („კულტურის კონცეფცია“, „სტრატეგია 2025“) ვერ იქცა მოქმედ პო-ლიტიკად ინსტიტუციური არასტაბილურობისა და პრიორიტეტების სწრაფი ცვლადობის გამო.

საერთაშორისო დონორებმა ბოლო ორი ათწლეულის განმავ-ლობაში შექმნეს მნიშვნელოვანი კვლევები (2014, 2017, 2022), რომ-ლებიც მიუთითებდა მმართველობის, ფინანსებისა და მონაცემე-ბის სისტემურ დეფიციტზე, თუმცა მათი რეკომენდაციები სახელმ-წიფო პოლიტიკაში ვერ ინტეგრირდა. 2020-2024 წლების პოლიტი-კური კრიზისი, ახალი საკანონმდებლო გარემო და დაზიანებული საერთაშორისო თანამშრომლობები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს კულტურის სექტორის დაუცველობას. საერთო პარადოქსი უცვ-ლელია: ინფრასტრუქტურა ვითარდება, მაგრამ სისტემა – ნაკლე-ბად; ცოდნა იქმნება, მაგრამ ინსტიტუციურ მეხსიერებად იშვიათად გარდაიქმნება. კულტურის მდგრადი განვითარება მომავალში და-მოკიდებული იქნება სტრატეგიულ ხედვაზე, დემოკრატიულ ინსტი-ტუციებზე და იმაზე, თუ შეძლებს თუ არა სახელმწიფო ერთიანი, მდგრადი კულტურული ეკოსისტემის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bourdieu P., The Field of Cultural Production, Columbia, 1993.
- Colbert, F., Marketing Culture and the Arts, Montréal, 2012.
- European Union / EUNIC, Creative Europe Cultural Cooperation Reports, Brussels, 2022.
- Goethe-Institut, Mapping of Cultural and Creative Industries in Eastern Partnership Countries, 2018.
- UNESCO, Cultural Policy Review Guidelines, Paris, 2019.
- USAID, Municipal Cultural Resources: Signaghi Cultural Strategy Re- port, Tbilisi, 2014.

- World Bank, Creative Economy Outlook for Eastern Europe, Washington, D.C., 2021.
- Shatberashvili V., Cultural Policy of the Democratic Republic of Georgia (1918–1921), Tbilisi, 2023.
- მანდი ს., კულტურის პოლიტიკა, საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდი, თბილისი, 2001.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია, თბილისი, 2014.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კულტურის სტრატეგია-2025, თბილისი, 2016.
- სათემო განვითარების ცენტრი (CDC), სათემო კავშირი „ნუკრიანი“ (CUN), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), სიღნაღი კულტურისათვის: მუნიციპალური კულტურული რესურსები, ISBN 978-9941-0-6807-2, 2014.
- ჭანტურიძე ს., ციციშვილი მ., სამხატვრო გალერეა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921). თბილისი, 2018.
- ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ჩანაწერი 1, საქმე 85-179.

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Vakhtang Beridze,
PhD student in Arts Management,
Faculty of Arts, Media and Management,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

INSTITUTIONAL EVOLUTION OF THE CULTURAL SECTOR IN GEORGIA: THREE ERAS OF STATEHOOD

Keywords: Cultural Policy, Soviet Repression, Systemic Changes.

Abstract

The evolution of Georgia's cultural sector over the past century reflects the larger political and institutional transformations that have shaped the country's statehood. From early republican aspirations to Soviet ideological engineering and the complex path of post-independence reconstruction, cultural institutions have repeatedly served as both instruments of state policy and reservoirs of national resilience. The First Democratic Republic (1918–1921) took the earliest steps toward establishing a European-style cultural governance model, creating a constitutional and institutional framework that would influence later periods. Despite its brief lifespan, this era introduced a progressive understanding of cultural rights: the 1921 Constitution guaranteed freedom of art and science and placed a positive obligation on the state to support their development. Universities, museums, conservatories, and professional schools were reorganized on the basis of European models, and the foundations of a national heritage protection system were laid. Culture was envisioned not merely as an auxiliary sphere but as a structural component of democratic citizenship and state-building.

This momentum was abruptly disrupted by Soviet occupation in 1921, which transformed cultural institutions into instruments of ideological control. The Soviet period generated a profound paradox:

while the state invested heavily in expanding theatres, museums, archives, libraries, and performing ensembles, these institutions operated under a rigidly centralized and censorial system. Glavlit expanded from 86 employees in 1927 to more than 6,000 by 1947; Repertkom dictated theatrical and musical content; Goskino and, later, Sak kino controlled film production. The Great Terror of 1937–1938 devastated Georgia’s intellectual core: around 3,700 were prosecuted and 3,100 executed, including writers, directors, artists, and composers whose absence created a long-term rupture in cultural continuity. Yet despite systemic repression, a parallel realm of cultural survival emerged in informal intellectual circles, family archives, folklore traditions, samizdat writing, and discrete academic networks. These silent infrastructures preserved key elements of national memory and identity and became crucial resources during the late Soviet cultural revival.

The restoration of independence in 1991 brought not renewal but institutional collapse. Civil war, economic breakdown, and the disappearance of centralised Soviet management left the cultural sector without funding, infrastructure, planning, or governance. Museums, archives, and libraries survived through the personal dedication of their staff, who protected buildings and collections without salaries or electricity. Collections were looted, dispersed, or damaged; regional cultural houses fell into disuse; and the absence of a strategic policy resulted in deep structural gaps, from archival losses to institutional amnesia, that continue to shape the sector. Cultural policy as a coherent state function essentially disappeared during these years.

A renewed wave of transformation began after 2004, when the government launched a rapid modernization campaign aimed at restoring Georgia’s international image and strengthening its European orientation. Significant resources were directed toward the rehabilitation of museums, theatres, libraries, and heritage sites, and new bodies, including the Georgian National Museum system, the National Film Center, and the National Agency for Cultural Heritage Preservation, were established or restructured. This period marked the first major investment in cultural infrastructure since

independence. However, modernization remained uneven: physical reconstruction advanced far more rapidly than governance reform, research development, professional education, or management modernization. Independent cultural spaces, contemporary arts initiatives, and experimental theatre groups emerged as important innovative forces, yet they operated without stable institutional or financial support. As a result, the cultural landscape became fragmented, with centralized state institutions on one side and dynamic but precarious independent actors on the other.

From 2012 onward, Georgia witnessed the emergence of its first strategic cultural policy documents, including the Cultural Policy Concept (2013) and the EU-supported Culture Strategy 2025 (2014). These documents articulated ambitious goals of integrating culture into social, educational, and economic development. Standards improved, digitization expanded, and international cooperation grew. However, the implementation of these strategies was repeatedly hindered by institutional instability, frequent restructurings of the ministry, leadership changes, shifting priorities, and insufficient budgeting. Strategic commitments were rarely translated into concrete policies; monitoring mechanisms were weak or absent; and municipal-level institutions continued to function with minimal resources. Studies by the EU, USAID, British Council, Goethe-Institut, OSF, UNDP, and EUNIC (2014, 2017, 2022) systematically documented governance deficits, data scarcity, and the lack of local cultural policy, yet their recommendations were rarely integrated into state practice. Thus, knowledge production, infrastructure development, and institutional governance evolved along parallel, often disconnected trajectories.

The period after 2020 further exposed the sector's vulnerabilities. While infrastructure projects formally continued, political instability, administrative inertia, and a tightening legislative environment significantly affected the cultural field. Several international partners reassessed or suspended cooperation; independent actors lost access to funding channels; municipal institutions remained under-resourced; and institutional memory eroded due to frequent staff turnovers and discontinuity in planning. The political climate of

2023–2024 demonstrated how sensitive the cultural sector remains to external pressures, and how limited its capacity is for autonomous, long-term development.

Taken together, this century-long trajectory illustrates a structural imbalance between aspiration and institutional stability. Periods of progress, whether infrastructural, legislative, or strategic, have often outpaced the state's capacity to consolidate them. Cultural institutions have repeatedly been asked to compensate for political weaknesses, preserve national identity under occupation, support international image-building, and sustain civic resilience during crisis. Their achievements have been considerable, yet systemic challenges remain persistent: inconsistent political priorities, weak decentralization, fragile governance frameworks, limited research capacity, and the chronic absence of integrated planning.

The overarching conclusion is that sustainable cultural policy in Georgia requires a shift from fragmented, project-based, and personality-driven management toward a coherent cultural ecosystem grounded in stable institutions, long-term planning, and the alignment of state responsibility with professional expertise. Only such an approach can ensure the resilience of the cultural sector and its ability to contribute meaningfully to democratic development, social cohesion, and national identity in the years to come.